გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

1877—1891 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულდერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.



სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. საბებიო და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კალანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გადამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

(10—8)


## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 3 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა, ბ-ნ კოტე ყიფიანის მონაწილეობით, ოთხ-მოქმედებიანი კომედია ავ. ცაგარლისა „ციმბირელი“ და ვოდევილი „მონადირე“. წარმოდგენას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო და დიდადაც ისიამოვნა. დაწვრილებით შემდეგ.

*** წარსულს შაბათს, 2 ნოემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში კონცერტი იყო გამართული ბ-ნთ: საჩინარისა (აფრიკიანისა), ეგიაზაროვისა და სხვათა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სომხურ დრამატიულ დასის არტისტმა-ქალმა სირანუიშმა, ქ-ნმა რომანოვასამ და ბ-ნმა ნახაპეტოვმა. კონცერტს საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო, თუმცა კონცერტი კონცერტს არა ეგვანებოდა, თუ ბ-ნნი ეგიაზაროვი, აფრიკიანი და ნახაპეტოვი არა ყოფილიყვნენ. ამ ორს გარდა, რიგიანი, რიგიანს ვინა სჩივის, ცოტად მაინც ვარგისი მომღერალი არავინ იყო. ქ-ნმა სირანუიშმა იმღერა, მაგრამ ვაი იმ სიმღერას: ისეთი ხმა აქვს ამ არტისტ-ქალს, რომ სცენას აღარ გამოსცილებია და იმისი არავის არა გაუგია-რა. გვაკვირვებს ამ არტისტის-ქალის გამბედაობა და სითამამე, რომ ასეთის ხმით კონცერტებში სამღერლად გამოდის. კონცერტის განცხადებებში ქ-ნი ძნელაძისაც იყო გამოცხადებული, მაგრამ ძნელაძისას არ უმღერნია. კონცერტის დასაწყისში სცენიდგან გამოგვიცხადეს, რომ, ქ-ნ ძნელაძის ავადმყოფობის გამო, იმის მაგიერ ბ-ნი ქალანთარიანი იმღერებსო. გამოვიდა ქალანთარიანი და ვერაფერი საკონცერტო კუპლეტები სთქვა. როგორც შემდეგ შევიტყეთ, ქ-ნს ძნელაძისას ფიქრადაც არ მოსვლია ავად გახდომა. მიზეზი-კი იმის მონაწილეობის მიუღებლობისა ისა ყოფილა, რომ არავის შეუტყობინებია, იმის უნებურად გამოუცხადებიათ იმისი გვარი და მხოლოდ წარმოდგენის საღამოს 7 საათზე მისულან შესატყობინებლად.

*** ბ-ნმა დ. ტერ-დავითიანცმა რაფფის რამდენიმე მოთხრობა გადმოსთარგმნა სომხურიდგან ქართულს ენაზე. ერთი მოთხრობა „სიმშილი“ უკვე იბეჭდება და ამ ათს დღეზე გასასყიდადაც გამოვა. მოთხრობას წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფია სომხთა სახელოვანის მწერლის რაფფისა. დაიბეჭდება თუ არა ეს მოთხრობა, ზედ სხვა მოთხრობები მოჰყვება იმავე ავტორისა. სხვათა შორის ერთი ახალგაზდა ქართველიც სთარგმნის რაფფისავე მოთხრობას „ჯალალ-ედინს“, რომელიც ამ თვეშივე დაიბეჭდება.

*** ამ თვის 3-ს ტფილისში ძმათა ნიკიტინების ცირკი ჩამოვიდა როსტოვიდგამ და პირველისა წარმოდგენის გამართვას ამ კვირიავე აპირებს.

*** შაბათს, ამ თვის 2, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრებამ სხვათა შორის განიხილა ებრაელთა მიერ საქონლისა და ფრინველის დახოცვის საქმე. საზოგადოებამ ის აზრი დაადგინა, რომ ებრაელთა წესით საქონლისა და ფრინველის დახოცვა დიდად აწვალებს პირუტყვსაო. ებრაელთა წარმომადგენელი ექიმი ბ-ნი ვეინშალი-კი ამტკიცებდა, რომ ებრაელნი უფრო ადვილად და სწრაფად ჰკლავენ საქონელსაო. საზოგადოებამ დაადგინა: ებრაელთ საყასბო ისე უნდა გაიმართოს, რომ ყოველ დაკლულ საქონლის შემდეგ საკლავი ალაგი უნდა სუფთავდებოდეს და შემდეგ ისე დაკლან მეორე საქონელიო. დასასრულ საზოგადოებამ გადასწყვიტა ამ საქმის წვლილად განხილვა და აგრეთვე საყასბოს გამართვაც განსაკუთრებულს კომისიას მიანდო.

*** ზოგიერთ მესასტუმროეთ ქალაქის საბჭოში საჩივარი შეიტანეს, რომ უკანონოდ იქმენ ამორჩეულნი დეპუტატები საშუალო აქციზის გასანაწილებლადაო და აგრეთვე თვით დეპუტატთა თავმჯდომარეცაო. ქალაქის გამგეობას განუხილავს ეს საჩივარი, არჩევანში უკანონობა არა უნახავს-რა და საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია.

*** წლეულს, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, დიდ-ძალი ღვინოა. ეს ჭარბი მოსავალი ეხლავე დაეტყო ჩვენს ქალაქს. ყველა მოედანზედ: ავლაბრისა, ხარფუხისა, კუკიისა და ჩუღურეთისაზე, სოფლელებს ურმებით ჩამოუტანიათ ღვინო და ძალიან იაფ-ფასადა ჰყიდიან: თუნგს ორ აბაზადა და ექვს შაურად, ხოლო კვირა დღეობით—ათ შაურად. საკვირველი ის არის, რომ ეს ღვინის კარგი მოსავალი ჩვენს სირაჯებს არაფრად დაეტყოთ და ღვინოს იმავე ფასადა ჰყიდიან, რა ფასადაც შარშანა ჰყიდნენ, როცა ღვინო ძალიან ნაკლებად მოვიდა და ცეცხლის ფასად იყიდებოდა. წარმოიდგინეთ, იმ ღვინოს, რომელსაც მეიდნებზედ თუნგს ექვს შაურად იყიდით, სირაჯები და ღვინის ვაჭრები თუნგს ოთხს აბაზსა და მანეთ ნაკლებად არა ჰყიდიან. ნუ თუ ამათს საქციელს ამლაგმელი არავინ გამოუჩნდება!..

*** ქუთაისი. ქუთაისის მომრიგებელ-სასამართლოში მეტად საყურადღებო საქმეა გასარჩევად დანიშნული. ეს საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ქუთაისის მაზრის უფროსის ხელ-ქვეითმა ბ-ნმა ა. ჩ—მა გალახა მასწავლებელი ვ. კ. მთელი ქუთაისი დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს ამ საქმეს. ამ საქმის სასამართლოში წარმოების ანგარიში, ვეცდებით, განვუზიაროთ მკითხველებს.

*** გურია: გურიაში აქა-იქ ყვავილი გაჩნდა. ნიგოითში, კაი ხანია, რაც ჰბუდობს ყვავილი და თან-დათან ვრცელდება. ამას წინად ვიკითხეთ ნიგოითში, ყვავილს რატომ არ აცრევინებთ-მეთქი, და მიპასუხეს: „მამასახლისმა ორხელ მიიწერა და მოითხოვა ყვავილის ამცრელი, მაგრამ შემოუთვალეს, ჩირქი არ იშოვება, თორემ გამოვგზავნიდითო“. კარგია, შველა თუ არაა, ბოდიშის მოხ-

---

## ფელეტონი

—

### პირველი თოვლი

გუი-დე-მოპასანისა

(ფრანგულით)

კრუაზეტის ხეივანი ზღვის პირას თავდება. მარჯვნივ ესტერელის მთაც თავისის მრავალის მწვერვალებით სწორედ ზედ ზღვამდე მიდის. მარცხნივ წმ. მარგარიტას და წმ. ჰონორატას კუნძულის ნაძვებით შემოსილი პირები მოსჩანს. ხოლო განიერ ბოლოზისა და მაღალ მთების გაყოლებაზე მზეზე თეთრი, საავარაკო სახლები სდგას. შორიდგან მოჩანს ნათელი სახლები, რომელთ ქვემოდა და ზემოდ ტყით დაფარული მთებია, სადაც მუქ-მწვანე ფოთლებს შორის თეთრი თოვლიანი ადგილებიც გამოიყურება.

ხოლო წყლის ნაპირას ჩაყოლებული ლობე ხეივანს ეკვრის, რომელსაც ნელი ტალღები ეხლება. ბუნებაში სიჩუმე და მყუდროება სუფევს. ზამთრის თბილი დღეა და გრილი სიო ოდნავ-ღა ჰქრის. ეზოებიდგან ოქროს ფეროვან ნაყოფიანი ლიმონ-ფორთოხლის ხეები მოსჩანს. ქვიშა-მოყრილს ხეივანზე ქალები წყნარად სეირნობენ; უკან თამაშობითა და ლაპარაკით ბავშვები მისდევენ.

—

პატარა და კოპწია სახლიდგან, რომლის ალაყაფის კარები კრუაზეტზე გადიოდა, ერთი ახალგაზდა ქალი გამოვიდა. ჯერ შეჩერდა, მოსეირნეთ თვალი გადაავლო და ღიმილით თავისუფალ სკამისაკენ გაემართა. ოციოდ ნაბიჯის გადაგმით ისე გამოეცალა არაქათი, რომ სულს ძლივს იბრუნებდა; როგორც იყო, სკამზე ჩამოჯდომა მოასწრო. მისი სანთელსავით ჩამომდნარი პირისახე კაცს მკვდარს მოაგონებს, ახველებს და თავისს გაფიჩხებულს თითებს პირზე იფარებს, თითქოს სურს, შეაჩეროს თავისის ღონის-წამრთმევი სენიო.

უცქერის მზის სინათლით მოფენილს ცას, სადაც ფრინველები კლაკნით მაღლა-ზად დაფრინავენ, უცქერის ესტერელის თვალის მომხიბლავს მწვერვალებს და საუცხოვო, მდუმარე ლაჟვარდს ზღვას.

ქალი იღიმება და თავისს თავს ჩურჩულით ეუბნება.

— ახ, რა ბედნიერი ვარ!

ამავე დროს ქალმა იცის, რომ ჩქარა მოკვდება, რომ გაზაფხულამდე ვერ გააღწევს; ერთის წლის შემდეგ ეს ხალხი, რომელიც ახლა აქ სეირნობს, ხელ-ახლა მოვა აქვე, ამ გრძელ ხეივანში, ამ მშვენიერის ადგილის თბილ ჰაერის საყნოსველად, თან შვილებსაც მოიყვანენ, გული იმედით, ბედნიერებითა და სიყვარულით სავსე ექნებათ და იმ დროს მუხის ხის კუბოში მისი სხეული-კი გახრწნას იწყებს, მხოლოდ იმისი ძვლები-ღა დარჩება იმ აბრეშუმის კაბაში, რომელიც ქალმა სუდარად აირჩია.

იგი ამ ქვეყნად აღარ დარჩება. სხვების სიცოცხლე გახანგრძლივდება, მისთვის-კი ყველაფერს ბოლო მოეღება, მოეღება საუკუნოდ. ქალი, რაც-კი შეუძლიან, თავისის სნეულის გულით ყნოსავს ბაღის სურნელებას და ფიქრს ეძლევა.

—

მოგონებანი მის წინაშე ერთი მეორეზე ირევიან. ოთხი წელიწადია, რაც ეს ერთს ნორმანდიელს აზნაურს მიათხოვეს. ნორმანდიელი ღონიერი, ლამაზი ახალგაზდა კაცი იყო, მხარ-ბეჭიანი, შავგვრემანი, არც ნამეტანი ჭკვიანი, მაგრამ მხიარულის გუნების პატრონი-კი. ჯვარის-წერას სარჩულად ფულის აღება ედო, რაიცა ქალს ვერ გაეგო. იგი „არას“ დიდის სიამოვნებით იტყოდა, მაგრამ დედ-მამის სიყვარულისა და მათის პატივცემისათვის თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. ეს ქალი ნამდვილი პარიჟელი ქალი იყო, მხიარული და ცხოვრებაში სიამოვნებათა მეძიებელი.

ქმარმა ჯვარის-წერის შემდეგ თავის ნორმანდიის კოშკში წაიყვანა. კოშკი დიდი ქვითკირის შენობა იყო, გარშემო დიდის ხნის ხეები ედგა. წინ მაღალი ნაძვნარი ჰქონდა. მარჯვნივ გაშლილი მინდორი მოსჩანდა, რომლის ბოლოს სახნავ-სათესი მიწები იწყებოდა; ლობესთანაც სოფლის გზა ჩაუდიოდა და სამის ვერსის შემდეგ დიდი გზა-ტკეცილი იწყებოდა.

იმას კარგად ახსოვს ყველაფერი! თავისი მოსვლა, პირველი დღე, თავისს ახალს სახლში გატარებული, და შემდეგ განმარტოებული ცხოვრება.

ეტლიდგან ჩამოხტომის უმალვე ძველს შენობას შეხედა და სიცილითა სთქვა:

— რა დაღვრემილი სურათია!

ქმარმა თავის მხრივ სიცილი დაიწყო და უპასუხა:—აბა, ნახავ, მე აქ მოწყენილი ჩემს დღეში არა ვყოფილვარ.

ეს დღე ერთმანეთის კოცნა-ალერსში გავიდა; მეორე დღესაც კვლავ ხვევნა-ალერსი განაახლეს და ამ გვარად გავიდა მთელი კვირაც.

შემდეგ სახლის მორთვას მიჰყვეს ხელი. ამას მთელი თვე მოანდომეს. მთელი დღეები წვრილმანს ფუსფუსს უნდებოდნენ, ქალის ყურადღება მთლად ამ ფუსფუსზე-ღა იყო მიპყრობილი.

ეხლა-კი გაიგო და შეიგნო ფასი ცხოვრების წვრილმან-წვრილმანებისა, კვერცხსაც-კი მიაქცია ყურადღება, რომელსაც სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ფასი ჰქონდა.

ზაფხული დადგა და ქალიც ყანაში მომკლების მუშაობას თვალ-ყურს ადევნებს. მზე მხიარულად ანათებდა ქვეყანას და მასაც მხიარულებით სავსე ჰქონდა გული.

შემოდგომამაც მოაღწია. ქმარი წინანდებურად მთელის კვირაობით ტყეში სანადიროდ იკარგებოდა. დილით ადგებოდა, თავისს ორს ძაღლს—მედერასა და მირზას გაიყოლებდა და გზას გაუდგებოდა. ქალი სახლში მარტოდ-მარტო რჩებოდა, თუმცა-კი ჰანრიზე ბევრს არას დარდობდა. თავისი ქმარი თუმცა უყვარდა, მაგრამ იმისს სახლში არ-ყოფნას-კი არ იმჩნევდა. როდესაც ჰანრი ნადირობიდ-

და ხომ-კი არის. ყვავილის ჩირქი „უკვდავების წყაროა"; ნუ თუ ისე „მოიწვა", რომ ბღარსად მოიძევება. თუ უფრო ახლო არა, საათფთიაქო მაღიზიებში, ტფილისში ხომ, რამდენიც გინდათ, იმდენს იშოვით. მერე რა გასაჭირია და რა ძვირად დაჯდება, რომ, ვისაც მინდობილი აქვთ ყვავილის აცრა, დაიბარონ და აუცრან ხალხს ყვავილი.

*** იქიდგანვე. თვალების ტკივილმა გურულებს საქმე გაგვიჭირა. „ჩვენი კურცხალი ზღვას შეერთვისო", რომ იტყვიან, ის დაგვმართა სწორედ. მჯიღით „ვიქლლემთ" თვალებს, ამბობენ, ავადმყოფის თვალები, როგორც-კი მოხვდება საღის თვალების პატრონს, მეტი არ უნდა, მაშინვე გადაედებაო. ეს მართალია, თუ არა, არ ვიცით; ის-კი ვიცით, რომ ამ სენის გახშირება-გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი არეულ-დარეულმა ჵ შიშხათ-სიცივიანმა ამინდებმა. ავადმყოფს თვალები აჰქავდება, დაეწვის, ცრემლებს აფრქვევინებს, უსისხლიანებს. ორს კვირას, ზოგს უფრო დიდხანს, ატკივებს და მერე გაუვლის. რჩებიან უწამლოდაც.

*** ბათუმი: წრეულს ბათუმელები აპირობდნენ სამუდამო სათეატრო დასის შედგენას, რომ ხშირად ემართათ ქართული წარმოდგენები. კიდეც მოიწვიეს რამდენიმე კაცი ტფილისიდამ და საქმესაც შეუდგნენ. პირველი წარმოდგენა უნდა გამართულიყო 12 ოქტომბერს, მაგრამ ქ-ნ რჩეულოვის ავადმყოფობის გამო გადაიდო. 27 ოქტომბერს-კი მოხერხდა წარმოდგენა. წარმოადგინეს აკაკის 3-მოქმედებიანი კომედია „კინტო" და ვიდევილი „ოანბაზი". ხალხი საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას და კმაყოფილიც დარჩა. მოთამაშეთ: ქ-ნმა რჩეულიშვილისამ, ბ-მა თამაზოვმა, საფაროვმა და მჭედლიშვილმა რიგიანად ჩაატარეს თავიანთი როლები. შემდეგის წარმოდგენისათვის დანიშნულია „პეპო" და „სუსტი მხარე".

*** „მართებლობის მოამბე" იუწყება, რომ, 1890 წლის ბეჭდვისა და საცენზურო წესდების მე-121 მუხ. ძალით, უკვე მოისპო გაზ. „კეშკული", რომელიც თათრულს ენაზედ გამოდიოდა ტფილისშიო.

*** 3 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში, ვიტუხინის სახლთან, იპოვნეს 10 დღის დაბადებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ანდრიას ქუჩაზე, ვასილ ქეფინოვის სახლში, მომუშავე ახპერ პოლეოგმა ცეცხლი გააჩაღა ქურაში, დაიძინა და ცეცხლის ბუღისაგან გარდაიცვალა.

## დაბა ჵ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**წყალტუბოს საზოგადოება** (ქუთაისის მაზრა). 25 ღვინობისთვეს. გათავდა ჩვენში ჰინახულის მოწევა, მორჩნენ სთველსაც. ალაგ მადლიერნი არიან ამ წლის შემოდგომისა, ალაგ-კი ემდურებიან. ყველაზე უფრო ემდურიან ღვინის მოსავალს, როგორც წყალტუბოს საზოგადოებაში, აგრეთვე მახლობელს საზოგადოებებშიაც. წელს ღვინის მოსავალმა მეტად შესამჩნევად და საგრძნობლად იკლო, მაშინ როდესაც უდიდესი იმედი საზოგადოებისა ღვინო იყო. ღვინით აქამდე გულადად უხვდებოდნენ მტერსა და მოყვარეს, გადასახადსა, დღესასწაულებს, ტირილსა და და ქორწილს, მღვდელსა და ერს. ამ საზოგადოების მკვიდრნი მისდევენ ხვნა-თესვასა და მევენახეობას; უკანასკნელი არის უმთავრესი წყარო აქაურების შემოსავლისა. თითქმის ყოველს მოსახლეს, თავადს თუ გლეხს, აქვს ერთიდგან სამ ქცევამდე ვენახი, თორემ ნახევარი ქცევა ვენახი-კი ულარიბესს გლეხსაც მოეპოვება. ქცევა ვენახში, დაახლოვებით რომ ვიანგარიშოთ, მოდის 8—10 საპალნე ღვინო. საპალნე 12 ფუთია. მაშ ქცევაზე მოდის 96—100 ფუთი ღვინო. ღვინოს ორ ნაირს აყენებენ: თავს ღვინოს, წმინდა, უწყლო ყურძნის წვენიდგან, რომლიდგანაც, რასაკვირველია, კარგი ღვინო დგება; მეორეს—მდარეს, წყლიანს, რომელსაც აქ შუა ღვინოს ეძახიან. ეს შუა ღვინო—საოჯახოა, ზამთარში და გაზაფხულზე სმენ; ზაფხულამდე შუა ღვინო არ ინახება, ფუჭდება, რაკი წყალ-ნარევია. ფუთი ღვინო ფასობს 2 მან.—2 მ. 50 კაპ. და მეტადაც.

როგორც ზემოდა ვსთქვი, მკვიდრთა თავი და თავი სახსარი ცხოვრებისა არის ვენახი, მაგრამ ამ ბოლოს დროს ეს წყარო უშრებათ, ვენახი ხელიდგან ეცლებათ—ვაზი სხვა-და-სხვა სენმა, ნამეტურ მილდიუმ, მეტად დააზარალა და დიდს საფიქრებელ-საგონებელში ჩააგდო ვენახის პატრონები: ცხადად ხედავენ, რომ ღვინის მოსავალი ყოველ წლივ მცირდება; მალე, შესაძლებელია, ერთიანად შესწყდეს და არ იციან, თავს რითი უშველონ, ამდენს ხანს ვენახის იმედით დარჩენილთ, რითი-ღა ინუგეშონ თავი, თუ ის ხელიდგან გამოეცალათ. დაავადებული ვაზი ცუდს მტევნებს ისხამს და ისიც რიგიანად ვერა მწიფდება, რადგანაც ივლისში ვაზს ფოთოლი სცვივა და დაუფარავს მარცვლებს მზე სწვავს, რის გამო მარცვლებს კანი უმაგრდება, არ იზრდება და, როცა ენკენისთვეში წვიმა დაასხამს, სკდება. ცუდისა ჵ უმწიფარის ყურძნიდგან დაყენებული ღვინო, რა თქმა უნდა, მდარე და მჟავე იქნება. უბედურება ის იქნება, თუ ეს მდარე ღვინოც სანატრელი გახდა! ამას ყველანი გრძნობენ, მაგრამ, რა ღონე იღონონ ამის წინამდეგ, ის-კი არ იციან. ყველას გაგონილი აქვს, რომ ვაზს სწამლობენო, მაგრამ ყველას ერთნაირად-კი არა სჯერა ამ წამლობის სარგებლობა—ზოგი ძლიერ ეჭვის თვალით უცქერის; ამბობენ: „ეს სულ ჭორია, სიცრუეა; ვინ მოსწრებია და ვის გაუგონია ვაზის სწამლობა! ვაზს წამლობა რანაირად მოეხერხება, სულიერი ხომ არ არის, რომ წამალი პირში ჩაასხაო"... ზოგიერთს კიდევაც სჯერა და არც სჯერა; ესენი ჰფიქრობენ, შესაძლებელია ორ-სამს წელიწადს მართლაც შემოკრიბოს ვაზმა უკანასკნელი ძალ-ღონე და უკეთ იხეიროს, მაგრამ შემდეგ მთლად ძალა გამოლეული ერთბაშად დასუსტდება და ახმებაო. ასე სჯიან ბევრნი, მაგრამ რამდენიმე-კი, რომელთაც თვითონ ნახეს, დაათვალიერეს „ნაწამლი" ვენახი, დარწმუნდა, რომ ამ ვენახებს მშვენიერადაც ასხია, ფოთლებიც არ დასცვივნია უდროოდ და მტევნებიც კარგი და საღია, დარწმუნდნენ, რომ ვაზს წამლობა ძალიან ეწყობა და ეხერხება. ზოგმა მათგანმა განიზრახა მომავალის წლისთვის შეიძინოს „მაშინა" და თავისს ვენახებში ვაზებს უწამლოს. ჩვენდა სასიამოვნოდ, მაშინის შეძენაც არ გაუძნელდებათ, რადგანაც ქ. ქუთაისში ბ. კოკოჩევს უკისრნია რამდენისამე „მაშინის" გამოწერა და მ. დ. ღამბაშიძე რუსულიდგან პატარა სახელმძღვანელოსაც გვითარგმნის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმათის წაბაძვით, ვინც მანქანას გამოიწერს და უწამლებს ვაზს, სხვებიც გაბედავენ და შეიძენენ მანქანებს.

ასე შეწუხებულნი არიან ღვინის მოსავლის შემცირებით და ვენახის არა საიმედო მომავლით. სხვა ჰინახული-კი საკმაოდ მოუვიდათ. ამ მხრით იმდენი სამწუხარო არა აქვთ-რა, მხოლოდ სავალალოდ და ვარამად სასოფლოდ გზა გახდომია საზოგადოებას. უგზობის გამო დიდს გაჭირვებას ითმენენ მცხოვრებნი. ჰინახულის, ღვინის, საქონლისა და სხვა-და-სხვა ნაწარმოების გასასყიდლად და სავაჭროდ დადიან ქ. ქუთაისსა (7—8 ვერ.) ჵ დ. ხონში (16—17 ვერ.), მაგრამ რიგიანის გზის უქონლობა ძლიერ შემავიწროვებელი და ხელის შემშლელია მცხოვრებთათვის. საზოგადოების ადგილ-მდებარეობა მთა-გორიანია და მასზედ გაყვანილი ოღროჩოღრო გზა, რა თქმა უნდა, ცუდი სასიარულოა; მეტადრე ავდარში ისეთი ტლაპოები დგება გზებზე, რომ გავლა ცხენით, გინდა ქვეითად, შეუძლებელი ხდება. სიძნელე ერთიორად მეტია, თუ იმასაც არ დავივიწყებთ, რომ მდ. წყალტუბოსა და გუბის წყალზე ხიდები არ არის. თუმცა პირველზე-კი აკეთებენ ყოველ წლივ ბოგირს, მაგრამ, რამდენჯერაც მოიმატებს მდინარე, ყოველთვის წაიღებს ხოლმე ბოგირსა.

აქვე გახლავთ სახელგანთქმული წყალტუბოს აბანოები, სადაც ყოველს გაზაფხულსა და შემოდგომაზედ მრავალი ხალხი იკრიბება საბანაოდ. რასაკვირველია, ცუდი გზები აქ მომსვლელთ ხშირად ბედ-იღბალს აწყევლინებს და ერთხელ დაშინებულნი მეორედ მოსვლას ვეღარ ჰბედავენ. ეჭვი არ არის, რომ კარგი გზები იყოს, აბანოებს ხალხი ერთი-ორად მეტი მიაწყდებოდა და შემოსავალიც ერთი-ორად მეტი ექნებოდათ პატრონებსაცა და მკვიდრთაც. ესეც არ იყოს, ის რამდენად ჰღირს, რომ ქალაქებში მიმოსვლა გაუადვილდებათ მცხოვრებთ და მათს აღებ-მიცემასაც უფრო მეტი ხეირი ექნება.

წყალტუბოს საზოგადოებაშიაც აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, მიჰხედეს ხალხის გაჭირვებულს მდგომარეობას, ითხოვეს, სადაც ჯერ იყო, რომ ქუთაისიდგან რიგიანი გზა გაყვანილიყო ამ საზოგადოებაზე მახლობელ საზოგადოებამდის, რომელიც თავის მხრით ამ გზის გაგრძელებას დიდის სიამოვნებით ჰკისრულობდა. მთავრობამაც ნება დართო, და მიანდო გზის გაყვანა კეთილ-საიმედო ადგილის მცოდნე კაცთ, რომელნიც გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს, წამოიყვანეს ქუთაისიდგან ზედამხედველი და აჩვენეს, საითკენ უნდა მიმართულიყო გზა. საზოგადოება დიდის სიხარულით მიეგება ამ საქმეს: ოღონდ გზა გაკეთდეს ჵ არავითარს ზარალს არ ვინათვლითო; თუ საჭირო იქნება, სახლებს ავანგრევთ და გადავდგამთ, რომ გზას ადგილი დავუცალოთო. ზედამხედველმა მეთაურების თანადასწრებით გზა გაზომა და ნიშნებიც დასვა, სად უნდა გაევლო გზას; გზამ ზოგის ეზოში გაიარა, ზოგს ადგილი გაუჭრა; (თუმცა ახალი გზა ძველად ნაკეთებს გზას მიჰყვებოდა, მაგრამ უკანასკნელის გასამართავად და აღმართ-დაღმართის გვერდის შესახვევად საჭირო

---

გან დაბრუნდებოდა, ცოლი ძაღლებზე ზრუნვას იწყებდა. ყოველ საღამო დედასავით უვლიდა საჭმელს აძლევდა, თავდავიწყებით უალერსებდა, სხვა-და-სხვა საალერსო სახელებს არქმევდა, რომელიც ქმარს თავისს დღეში თავშიაც არ მოუვიდოდა.

დადგა ზამთარი, ცივი, წვიმიანი ნორმანდიური ზამთარი. სახლის ბანიდგან წვიმის ნაკადულები გადმოსჩუხჩუხებდა, გზა ტალახის მორევად იყო ქცეული, ბანზე დაცემულის წვიმის წინწკლების ხმის გარდა, გარეშემო სხვა არავითარი ხმაურობა არ ისმოდა, არავითარი მოძრაობა, ყვავების ფრენის მეტი, არა იყოა. ოთხი საათი გახდებოდა თუ არა, მთელი გროვა ყვავებისა კოშკის მარჯვნივ მდგარს წიფლებს დაესეოდა და საშინელს ჩხავილს ასტეხდა. მთელს საათს ერთის კენწეროდგან მეორეზე ფრენას ანდომებდნენ, ნისკარტით ერთმანერთს სცემდნენ, ჩხაოდნენ და ბნელს ტოტებს შორის ნაცრისფერ ღრუბლებივით დაჰქროდნენ. ქალი ნიადაგ მათ უცქეროდა და გული ნაღვლით ევსებოდა. შავის ფიქრებით ავსებდა მას ამ ვერაგ მიდამოს ბნელი ღამები.

ზარს დააწკარუნებდა — მოუტანდნენ ლამპარს და ბუხარს მიუჯდებოდა. ბუხარში შეშა რამდენიც უნდა შეეკეთებინა, ამ უზარმაზარს ნოტიო ოთახებში მაინც სიცივე იდგა. მთელი დღე იყინებოდა ხან სასადილო ოთახში, ხან საწოლს ოთახში და ხან სასტუმრო ოთახში,—ხსნა არსით იყო. სიცივე თითქმის აფიჩხებდა. ქმარი მარტო სადილობის დროს ბრუნდებოდა: ის მუდამ ნადირობდა და ან ყანაში მუშაობაში იყო გართული. მთლად ტალახში ამოთხუპნული და სახე-მხიარული სახლში შემოვიდოდა და წამოიძახებდა: დალახვროს ღმერთმა, რა საძაგელი დარია! ან არა-და ცოლს ჰკითხავდა: აბა, ახალი რა იცი? მოწყენილი ხომ არა ხარ?

ქმარი ბედნიერი იყო, ჯანმრთელი და არაფერზე დარდობდა, თუ არ უბრალო, ზომიერის და მყუდროებით სავსე ცხოვრებაზე.

როცა ქრისტეშობისთვეში თოვლი მოვიდა, ქალი სიცივისაგან იტანჯებოდა; ეს ძველი კოშკი სწორედ საწამებელ ადგილად გადაექცა. ბოლოს სიმწარით უთხრა ქმარსა:

— ჰანრი, ღუმელი უნდა დავდგათ: კედლებს სინესტეს მოაშორებს. გარწმუნებ, დილით-საღამომდე სიცივისგან, არ ვიცი, რა მომდის.

ცოლის ამ თხოვნამ ქმარი პირველად გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩააყენა. ცოლს რომ ეთქვა, ძაღლებს საჭმელი თეფშებზედ ვაჭამოთო, ეს იმდენად არც-კი გაუკვირდებოდა. მერმე, რაც ღონე ჰქონდა, გადიხარხარა.

— ღუმელი! ღუმელი აქ?! აი, თუ გინდა, ჭკუა ეს არის აი! ცოლი თავისაზე იდგა:

— გარწმუნებ, ვიყინები; შენ ყოველთვის მოძრაობაში ხარ და ამას ვერ ამჩნევ, მე-კი შინ სიცივისაგან ვიფიჩხები.

ქმარმა სიცილითვე უპასუხა:

— მორჩა! აქ უმაგისოდაც კარგადაა ყველაფერი მოწყობილი; ამასთან ზომიერი სიცივე ჯანმრთელობისათვის მარგებელია. უფრო კარგად იქნები. რაებს მეუბნები, რო არა ვიცი! პარიჟელები ხომ არა ვართ, რომ ფურნეში ვიხრაკოთ თავი. ამასთან, გაზაფხულიც, სადაც არის, დადგება.

—

იანვრის პირველს რიცხვებში ქალს დიდი უბედურება დაატყდა. დედაც მოუკვდა და მამაც; ორივე ეტლიდგან გადმოცვივდნენ. მათს დასაფლავებაზე პარიჟში დაბრუნდა; ექვსის თვის განმავლობაში მწუხარების მეტს სხვა გრძნობას მისს გულში არ გაუვლია. თბილმა ზაფხულის დღეებმა ქალი გააცოცხლა. ასე გასტანა ზამთრამდე. როდესაც კვლავ სიცივეები დაიჭირა, ქალი პირველად დაფიქრდა თავისს მწარე სიცოცხლეზე. რა უნდა ქნას?—არაფერი. რა დაემართება?—არაფერი. რას უნდა მოელოდდეს, რის იმედმა უნდა ჩაუდგას პირში სული? — არაფრისამ; ექიმმა გამოუცხადა, შვილები არ მოგეცემაო.

სიცივე თან-და-თან უარესად აწუხებდა. მთლად აკანკალებული, თავისს გაყინულს ხელებს ცეცხლს მიუშვერდა ხოლმე. ცეცხლი პირის-სახეს უკაწრავდა, სიცივე-კი ზურგს მთლად უჭერდა. სიცივით იჟინთებოდა მთლად მისი ტანისამოსი, მისი სხეული.

ქმარს კვლავ ჩამოუგდო სიტყვა ღუმელზე, მაგრამ ამ უკანასკნელს ღუმელის დადგმა ისევ შეუძლებლად ეჩვენებოდა. ერთხელ საქმეების გამო რუანში მოუხდა ჩასვლა და იქიდგან პატარა მაყალი მოიტანა, რომელსაც ხუმრობით მოძრავს ღუმელს უწოდებდა. მისის ფიქრით, ამით შეიძლებოდა სიცივის თავიდგან აცილება.

ქრისტეშობისთვის დამლევს ქალი დარწმუნდა, ასე ცხოვრება არ შეიძლებაო, და ერთხელ კრძალვით სადილზე ჰკითხა ქმარსა:

— რა იქნება, რომ ერთი-ორიოდ კვირით პარიჟში წავიდეთ და ან თუნდა გაზაფხულამდე იქ დავრჩეთ?

ქმარი გაოცდა.

— პარიჟშიო? რისთვის? აქაც კარგადა ვართ, პარიჟში რა უნდა გავაკეთოთ? ხანდახან რა სასაცილო აზრი მოგივა ხოლმე?

ქალმა ჩაიჩურჩულა:—ცოტა გავერთობით.

ქმარი ვერ მიუხვდა.

— ნეტავი ვიცოდე, რა უნდა გინდოდეს გასართობად? თეატრები, საღამოები, სადილები, წვეულებანი ხომ არ მომინდომე? აქეთ რო მოდიოდი, რით არ იცოდი, რომ მაგ გასართობებს უნდა გამოსთხოვებოდი?

კილო, რომლითაც ქმარმა ეს სიტყვები წარმოსთქვა, ცოლს საყვედურად ეჩვენა და ჩაჩუმდა. ყოველთვის ასე მშიშარა და გამბედაობას მოკლებული იყო.

იანვარში ყინვამ უმატა. თოვლმაც დედა-მიწა დაჰფარა. ერთს საღამოს ქალი ფანჯრიდგან ყვავების ბრბოს

შეიქნა ახალის გზისთვის ალაგ-ალაგ სხვა მიმართულება მიეცათ), მაგრამ ამას არავინ სწუხდა.

ახალი გზა ჩინებულის მოსაზრებით არის გაზომილი: ქუთაისიდგან დაუპირდაპირეს აბანოებს, მიდის შუა საზოგადოებაში, სასოფლო სასამართლოს გვერდით, შემდეგ დაუხვევს ცოტათი ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ და სწყდება გვაშტიბის საზოგადოების საზღვარზე. ამ გეგმაზე გაყვანილი გზა მეტად სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის. მცხოვრებნი ამას გრძნობენ და მუშაობაც ხალისით დაიწყეს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყოველს კეთილს საქმეს ვინმე უნდა გადაეღობოს წინ. ჩვენშიაც აღმოჩნდნენ წყალტუბოს საზოგადოებაში ზოგიერთნი, რომელთაც გაუგებარის მიზეზისა გამო არ მოსწონთ ზემო აღნიშნულს გეგმაზე გაყვანილი გზა და დაიწყეს საჩივარი, სხვა ადგილას გაიაროს გზამო... თანაც გლეხებსაც ჩააგონეს, იმ გზაზე შრომა ტყუილად გაგივათ, რადგანაც ის არ დამტკიცდება; დაიცადეთ, მალე სულ სხვა მხარეზე და სხვაგან მივმართავთ გზასო. ვერ დავფარავ, მათმა ჩაგონებამ გასჭრა გლეხებზე, რადგანაც ის ვაქბატონები გავლენიანი კაცები არიან საზოგადოებაში. ამის გამო დიდს ვაი-ვაგლახში არიან სოფლის მოხელენი და უჭირთ მუშის გამოწვევა. ასე თუ ისე, გზის მუშაობა, დიდი ხანია, დაწყებულია და, რაც გააკეთეს, იმაზე ქების მეტი არა ითქმის-რა. მერე არ იკითხავთ, ეს ვითომდა საზოგადოების გულ-შემატკივარნი, სად და საითკენ აპირებენ გზის გაყვანას? მოგახსენებთ: საზოგადოების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის განაპირას, ორის სოფლის იქითა კიდეზე, სადაც მხოლოდ მათ თუ შეხვდებათ გავლა, თორემ 3/4 საზოგადოებისამ იქნება წელიწადში ერთხელაც არ დაადგას ფეხი. ან-კი რა საჭიროებისათვის მოუხდებათ იქ გავლა? ეს არის იმათი ნარჩევი გზა! ამ უკანასკნელთ გუბერნატორისათვის მიურთმევიათ თხოვნა და ახლა იმასაც გაიძახიან: „ნეტავ არ გვეჩივლა, ვინ იცის, რამდენი კაცი წახდეს ამ საქმის მიზეზითაო!

მეტი თავ-მოყვარეობის დაკარგვაღა იქნება? ტრაბახი-კი გაგონილა, მაგრამ ამისთანა?!

ვანუგეშებ იმ ვაქბატონებს, რომ არავინ დაიღუპება. ხსენებულის გზის გაყვანის საქმეში ისეთი კაცები ურევიან, რომელთაც გზის საქმე დიდადაც ეკითხებათ, საზოგადოების ავკარგიც იციან და სად გაყვანილი გზა უფრო სასარგებლოა მცხოვრებთათვის, ისიც გამოკვლეული აქვთ; აგრეთვე მათს აზრსა და მოხსენებას მთავრობაც მეტს ყურადღებას მიაქცევს და დაუჯერებს.

ამის მახედვით, შეგვიძლია ვუწინასწარმეტყველოთ პირველის გზის მოწინააღმდეგე „პარტიას", რომ უგვანი „პლანები" ჩაეფუშებათ და ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თავს არ იწუხებდენ. ჩვენ მხოლოდ იმას ვწუხვართ, რომ მუშის რიცხვი ცოტათი შეამცირა იმ გარემოებამ, რომ მუშა მოითხოვეს სოფ. მათხოჯში, საიდგანაც ხონელებს მდ. ცხენი-წყლის ტოტი გაჰყავთ, მაგრამ იმედი არის იქიდგან მუშებს მალე დაგვიბრუნებენ, რადგანაც საკუთარი სამუშაო ბევრია აქაც. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გამუდმებული წვიმები ყველაზე უფრო ხელ-შემშლელი შეიქნა. ერთი კვირა განუწყვეტელი წვიმაა და კიდევ რამდენს ხანს გასტანს, ვინ იცის. ძლიერაც აცივდა და მახლობელი მთები კიდევაც დაიფარა თოვლით.

ლასი

## წვრილი ამბავი

მიუნხენის მხატვარი ლენბახი 1882 წელს ბერლინში ბისმარკთან ყოფილა სტუმრად, და სხვათაშორის მუსიკაზედ ჩამოუგდია ლაპარაკი. ბისმარკი გულწრფელად გამოტეხილა, მუსიკისა არაფერი მეყურებაო, „რამდენი ვეწვალეო, უთქვამს ბისმარკს: მაგრამ პიანინოზედ დაკვრაც-კი ვერ ვისწავლეო. თუმცა ისეთი მშვენიერი მეხსიერება მაქვს, რომ ნახევარს საათში ბერძნული ანბანი გავიზეპირეო, მაგრამ ნოტებისა-კი არა გამეგებარაო—ერთის სიტყვით, სამუსიკო ნიჭი სრულიად არა მქონია და მუსიკაც არც თუ ძლიერ მიყვარსო, ორგანოსა და არღანს კიდევ ყურს დავუგდებ, მაგრამ კონცერტებსა და ოპერებზე სიარული, მხოლოდ დროს დაკარგვად მიმაჩნიაო".

— გაზეთ Temps-ში ყოფილ სამინი შემდეგს ცნობებსა სწერს გრევის შესახებ: „ერთხელ, როცა მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად ვიყავი, სადილად მოვიწვიე გრევი და იტალიის ელჩი ჩიალდინი. სადილის შემდეგ ჩიალდინთან ფრიად საჭირო საქმეებზედ მინდოდა მომელაპარაკნა, მაგრამ გრევიმ ბილიარდის ოთახში გაიყვანა სათამაშოდ. ცოტა ხანს შემდეგ ჩემს ოთახში ჩემი შვილი შემოვიდა და მითხრა, გრევი შესანიშნავად თამაშობს ბილიარდზედ, ჩიალდინი სულ აგებს და ამის გამო ძლიერ გაბრაზებულიაო. ჩემთვის საჭირო იყო, რომ ჩიალდინი კარგს გუნებაზედ ყოფილიყო, და ამიტომ გრევის დიდის თხოვნის შევუთვალე, რომ ერთი ორი თამაშობა წაეგო ჩიალდინთან. გრევიმ პასუხად მითხრა: „რაც გნებავთ მიბრძანეთ, თქვენის გულისთვის ყველაფერს ავასრულებ, მაგრამ მაგ სიტყვას-კი ვერ შეგისრულებთ და მობილიარდობის სახელს არ გავიტეხავო."

— დრეზდენის პედაგოგი ფოხტი ამტკიცებს, ძლიერ კარგი იქნება, რომ გერმანიის სკოლების მოწაფეებისთვის სავალდებულო გავხადოთ თეატრში სიარულიო. ამ აზრის დასამტკიცებლად ფოხტი ამბობს, იმპერატორი ვილჰელმიც იმ აზრისაა, რომ თეატრს ძლიერ დიდი გავლენა აქვს ყმაწვილ-კაცობაზედაო.

— ბრიუსელში ამას წინად ერთს ანტრეპრენიორს გაზეთებში გამოუცხადებია, ბელგიის სხვა-და-სხვა ქალაქებში წარმოდგენების გამართვას ვაპირებო. მოკლე ხანში ამ ანტრეპრენიორს 13 აქტიორი ქალი- და კაცი შეუკრებია და ამ დასით ერთს სასტუმროში ჩამომხდარა. მეორე დღესვე სასტუმროს პატრონისთვის უთხოვნია სამის დღით 10,000 ფრანკი მასესხე, პარიჟიდგან მოველი ფულსა და, მომივა თუ არა, მაშინვე გაგისწორდებიო. „კარგიო, უთქვამს სასტუმროს პატრონს, მაგრამ გირაოს რას მაძლევთო?" გირაოს?! რა გირაო გინდა? აი ჩემი დასი გყავდეს გირაოდ, ნუ თუ 13 სული საკმარისი არ არის გირაოდ? ცოტა ლაპარაკის შემდეგ სასტუმროს პატრონი დათანხმებულა და 10,000 ფრანკი უსესხებია ანტრეპრენიორისთვის. მოხერხებულს ანტრეპრენიორს მიუღია თუ არა ფული, იმ დღესვე გაპარულა. სასტუმროს პატრონი, მთელს ორს კვირას ელოდდა ანტრეპრენიორის დაბრუნებას და ამ დროს განმავლობაში აჭმევდა და ასმევდა თურმე გირაოდ დატოვებულს დასსა. ბოლოს, რასაკვირველია, დარწმუნდა, ანტრეპრენიორმა გამაბრიყვაო და ეს დაგირავებული ხალხი დაითხოვა სასტუმროდგან. მხოლოდ ერთი მომღერალი ქალი-კი თვითონ დაიტოვა, უეჭველია ამ გაცრუებისა და 10,000 ფრანკის დაკარგვის სახსოვრად...

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნმა თ. ჟორდანიამ ჩემდა პასუხად დაბეჭდა თქვენს გაზეთში ვრცელი წერილი შემდეგის სათაურით: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელ-ნაწერებისა" („ივერია" №№ 229, 230, 231, 232, 233). ხსენებულს წერილში ბ-ნმა ჟორდანიამ ბევრი უმართლო ბრალი დაგვდვა, ბევრი ისეთი აზრი გვაკუთვნა, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის და არ გამოგვითქვამს, და კიდევ უფრო ბევრი ცილი დაგვწამა. ყველა ამის პასუხს თავისს დროზე წარმოუდგენ „ივერიის" რედაქციას. ხოლო ეხლა ვთხოულობ გადაჭრილს პასუხს ბ-ნ ჟორდანიასაგან ერთის საგნის შესახებ, რომელიც მან ყრუდ და მობნელოდ გამოთქვა და რომელშიაც მე და ბ-ნი ჟორდანია გაზეთის საშუალებით ვერ გავსწორდებით, რასაკვირველია, თუ თვითონ ბ-ნმა ჟორდანიამ უარი არ ჰყო ეს ცილის წამება. ეს საგანი გახლავთ შემდეგი:

როდესაც მე შევუდგი სამის ისტორიულის ხრონიკის და წმიდა ნინოს ცხოვრების გამოცემას, ბ-მა თ. ჟორდანიამ განსვენებულის დ. ბაქრაძის სახლში „საეკლესიო მუზეუმის" გამგეობის სხდომის შემდეგ თავაზიანად გადმომცა მე თავის მიერ გადაწერილი რვეული „ქართლის მოქცევისა", რომელიც იმ საღამოს მას დაუბრუნა დ. ბაქრაძემ. ბ-მა ჟორდანიამ ესეც დაუმატა გადმოცემის დროს, „ეს რვეული თქვენ გამოგადგებათ, რადგანაც ქართლის მოქცევის გამოცემასაც აპირებთო". მე იმ დროს „ქართლის მოქცევის" ხრონიკის ტექსტი დამზადებული მქონდა და ნინოს ცხოვრებისა-კი არა. რამდენიმე სიტყვა ჩემის გამოცემის გეგმის შესახებაც ვთქვით იმ საღამოს. იქვე ჩვენთან იყო მაშინ ბ-ნი ნ. მთვარელიშვილი, რომელსაც ეს ამბავი უნდა ახსოვდეს. შემდეგ არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი ბ-ნს ჟორდანიასთან იმავე რვეულის შეცდომების შესახებ. ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები მასთან ერთად გავსინჯეთ მისს რვეულსა და ხელნაწერში. ერთხელ კიდევაც თითონა სთქვა, რასაკვირველია, შეცდომები იქნებაო, შეცთომას ვინ აიცილებსო, (თუ რამდენად შეიძლებოდა იმ რვეულზე დამყარება და ისე გამოცემა ტექსტისა, ამას ჩემს პასუხში მოვიხსენიებ). არც ერთხელ ბ-ნს ჟორდანიას არ უსურვებია, დავებრუნებინა მისთვის რვეული, ხოლო როდესაც შევხვდებოდა, მკითხავდა, მალე გამოვა, თუ არა „ქართლის მოქცევაო". ეხლა-კი ბ-ნი ჟორდანია სწერს თავისს წერილში: „მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას, ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მიუწდომელად ჩემდა და ზედვე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილიცა რვეული „ქართლის მოქცევისა", რომელიც მერე შემთხვევით ვნახე ერთის ჩემის მეგობრის სახლში... (წერტილებია თვით ნამდვილში.)

ცხადია, თუ რა სურს, ამით სთქვას ბ-ნმა ჟორდანიამ, მაგრამ ისე ორპირად არის ეს ნათქვამი, რომ ყველას შეუძლიან ამით ჩვენ ჩირქი მოგვცხოს და ავტორსაც შეუძლიან სთქვას, აქ სრულებით თქვენ არ მყავდით სახეშიო. ამისათვის ჩვენ ვთხოულობთ ბ-ნ ჟორდანიასაგან, ეს ადგილი თავისის წერილისა უკანვე წაიღოს, ან და გამოაცხადოს, რომ ეს ადგილი ჩვენ შესახებ არ არის დაწერილი და ჩვენ აქ მას სრულიად მხედველობაში არა ვყავართ, და აგრეთვე მა-

---

და ნახვაზე ტირილს მოჰყვა. ამ დროს ოთახში მისი ქმარი შემოვიდა და გაკვირვებით ჰკითხა:

— რა დაგმართვნია?

ქმარი განუსაზღვრევად ბედნიერი იყო, სხვა გვარს გასართობზე თავისს დღეში არ უფიქრნია. იგი ამ მიყრუებულს მიდამოში დაიბადა, აქ გაიზარდა; ყოველ გვარს თავისს მოთხოვლინებას აქ აკმაყოფილებდა. მას არ ესმოდა, რომ, შეიძლება კაცს სურვილი დაებადოს რაისამე გარემოებისა გამო და ამ სურვილმა შეიძლება ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა დაურღვიოს, რაჟმე ცვლილება, სხვა-და-სხვაობა მოანდომოს; არ ესმოდა აგრეთვე, რომ ზოგი ვერ იტანს მთელის ერთის წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ალაგას ცხოვრებას. ცოლს პასუხის გაცემა არ შეეძლო და საჩქაროზე ცრემლები მოიწმინდა. შემდეგ წაილუღლუღა:

— მე... მე... სევდა მივლის... მოწყენილი ვარ...

მაგრამ შემდეგ თავისი სიტყვებისა თითონვე შეეშინდა და აჩქარებით დაუმატა:

— ამასთან... ცოტა მცივა კიდეც.

გცივა!! სულ ღუმელის ბრალია. აბა ერთი, კაცმა გკითხოს, თუ, ამდენი ხანია, სურდო რა არის, სურდო შეგვხვედროდეს!

—

დაღამდა. ქალი თავისს საწოლსოთახში შევიდა. დაწვა, მაგრამ საბანს ქვეშაც სციოდა და მწარედ გაიფიქრა: „ხომ ყოველთვის ასე უნდა იყოს, ყოველთვის, სიკვდილამდე!".

ქალი ქმრის შესახებ ჰფიქრობდა, როგორ მითხრა: „შენ აქამდე სურდოც არ შეგხვედრიაო!" მაშ, უნდა ავად გავხდე, უნდა ვახველო, რომ მიჰხვდეს, რომ ავადა ვარ! ბრაზი მოერია, ბრაზი უძლურის კაცისა.

დღეის შემდეგ ხველებას უნდა მოვუმატო, იქნება მაშინ მაინც შემიცოდოს და ექიმი მოიყვანოს; სეირს ვუჩვენებ!

ქალი ფეხშიშველა წამოდგა, თავში ბავშურმა ჰაზრმა გაურბინა და გაიღიმა:

— მე მინდა, ჩემს ოთახში ღუმელი იდგეს, და კიდეც დავადგმევინებ. იმდენს ვახველებ, სანამ არ ვაყიდვინებ.

ტანშიშველი სელზე დაჯდა. ამ ნაირად მთელი ორი საათი იჯდა; სიცივემ ააძაგძაგა, მაგრამ სურდოც არ შეხვედრია. მაშინ უკანასკნელს ხერხს მიჰმართა. ჩუმად ოთახიდგან გავიდა, ძირს კიბეზე ჩავიდა და ბაღის კარები გააღო.

შემდეგ ჯაგებამდე მივიდა და თავისთვისა სთქვა: „ნაძვებამდე უნდა მივიდე."

ნელის ნაბიჯით მიდიოდა; როცა თოვლში ფეხი ჩაურჩებოდა, სულს ძლივს იბრუნებდა. პირველს ნაძვს ხელი შეახო, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ თავისი სურვილი აღასრულა. შემდეგ ისევ სახლში დაბრუნდა. ორჯერ-სამჯერ მოეჩვენა, რომ სახლში მისვლამდე გული მისდიოდა, მაგრამ მაინც-კი გაყინულს თოვლზე ჩამოჯდა და ხელშიც აიღო, რომ გული დაეზილა. ბოლოს თვისს ოთახში გამობრუნდა და დაწვა. მთელს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ მაინც კიდევ დაიძინა.

მეორე დღეს ხველება აუტყდა და ადგომა ვერ შეიძლო. ქალმა გული გაიცივა. ბოდავდა და ბოდვაში ღუმელს თხოულობდა. ექიმმა განკარგულება მოახდინა, რომ ღუმელი დაედგათ. ჰანრი ბრაზ-მორეული დასთანხმდა.

ქალი ვერ მორჩა, ფილტვები დაუზიანდა და სიცოცხლის იმედი წარეკვეთა.

— თუ აქ დარჩა, ზამთრამდე ვეღარ გააღწევს, სთქვა ექიმმა.

ავადმყოფი სამხრეთს ქვეყანაში გაგზავნეს. კანში ჩავიდა, დაინახა მზე, შეუყვარდა ზღვა, მაძღრად ყნოსვიდა აყვავებულ ფორთოხლის ხეების სუნს. გაზაფხულზე კვლავ ჩრდილოეთში დაბრუნდა.

სულ იმისს შიშში იყო, ვაი თუ ჩქარა მოვრჩეო. ნორმანდიის გრძელი ღამეები მოსვენებას არ აძლევდნენ და, ცოტა უკეთ შაიქმნებოდა თუ არა, ფანჯრებს დაალებდა, და ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე ყოფნის ოცნებას ეძლეოდა.

ამ სოფელს მალე უნდა გამოესალმოს, ქალმა ეს კარგად იცის. გაზეთი გადაფურცლა და დაინახა: „პირველი თოვლი პარიჟში". ტანში ჟრუანტელი უვლის და ესტერელს უცქერის, რომელზედ ჩამავალის მზის სხივები ვარდის ფერად იფინება; უცქერის ლაჟვარდს ცას, ლაჟვარდს ზღვას, ამ თვალის მომხიბლავს სურათსა და ზეზე იწევს.

სახლში დაბრუნდა, გზაზე დასახველებლად თუ ჩერდება, გაშლილს ჰაერზე დიდი ხანი დაჰყო და ცოტათი შესცივდა.

ოთახში თავისს ქმრის წერილი დახვდა. გახსნა და ღიმილით დაიწყო კითხვა.

„ჩემო ძვირფასო! იმედი მაქვს, უკეთა ხდები და ბევრს არა დარდობ ჩვენს მშვენიერს მხარეზე. აგერ რამდენიმე დღეა რთვილს უშვებს. ეს თოვლის წინამორბედია. მე ამ დროს ვაღმერთებ და, რა თქმა უნდა, რომ შენს წყეულს ღუმელს სულაც არ ვახურებ"...

კითხვა მიატოვა. სრულს ბედნიერებას გრძნობდა, რომ თავისი მაინც გაიყვანა და ქმარს ღუმელი აყიდვინა. მარჯვენა ხელი, რომელშიაც ქმრის წერილი ეჭირა, მუხლზე დაუშვა, მარცხენა ხელს-კი ტუჩზე იფარებს, რომ შეაჩეროს ეს მძლავრი ხველება, რომელიც სულს უხუთავს და გულს ულონებს. ოთახში ღუმელი-კი დაადგმევინა, მაგრამ მისს ხველებასა და გაცივებას ვერაფერი და ვერავინ უშველის; სიკვდილი ნელის ნაბიჯებით უახლოვდება თავისს ახალს მსხვერპლს —მსხვერპლს ერთსა და იმავე დროს ბუნებისასა და ადამიანისასაც.

თ. სა-კია.

ხლობელს „ივერიის“ №-ში გადაჭრილი პასუხი მოგვცეს: მართალია, თუ არა, რომ რვეული ქართლის მოქცევისა გვათხოვა მან თავისის ნებით?

აგრეთვე ვთხოვთ ბ-ნს ნ. მთვარელიშვილს, გამოაცხადოს „ივერიაში“, თვით ბ. ჟორდანიამ გადმოგვცა ის რვეული დ. ბაქრაძის სახლში, თუ არა? და აგრეთვე გამოაცხადოს ისიც, მართალია, თუ არა, რომ ჟორდანია ამბობს, ვითომც ხრონიკა მესხური დავითნისა მას (ესე იგი ბატონს მთვარელიშვილს) გადაეწერის და არა მე.

2 ნოემბერს. 1894 წ.

ექ. თაყაიშვილი

## დეპეშა

2 ნოემბერი

**ბუენოს-აირესი.** რიო-გრანდე დო-სულის პროვინციის აჯანყებულთ გაიმარჯვეს. გენერალი ისიდორ—გონზალესი დამარცხებულ იქნა. 5,000 სხვა-და-სხვა გვარად შეიარაღებული კაცი ჩრდილოეთისკენ მიდის. რიო-გრანდეს გუბერნატორი კასტილხო შეიძლება აჯანყებულთ შეუერთდეს.

**შანჰაი.** ევროპიელთა წინააღმდეგ აღელვება კვლავა ჰსუფევს ჩინეთში. ჩინეთის მთავრობა სცდილობს, წასჩხუბოს რუსეთი და ინგლისი, და არა ჰსურს, დააკმაყოფილოს თხოვნა ევროპის სახელმწიფოთა. ჩინეთსა და იაპონიას შორის მორიგება მოხდა, იმის შესახებ, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, იაპონიისა და ჩინეთის ფლოტმა ერთად იმოქმედოს.

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს უმაღლესი მანიფესტი იმის შესახებ რომ ფინლიანდიიდგანაც აღკრძალულ იქმნას ხორბალ პურეულობის საზღვარ გარედ გატანა.

სახელმწიფო საბჭოს წევრმა ალექსანდრე აგიას ძემ აბაზამ ათის თთვის სრული თავისი ჯამაგირი—9,800 მანათი დამშეულთ შესწირა.

**ვენა.** ვენგრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიაში გრაფმა კალნოკიმ სხვათა შორის სთქვა: „ჩვენი ურთიერთობა გერმანიასთან უფრო სიყვარულიანი შეიქმნა შემოდგომის აღლუმებს შემდეგ, რომელსაც გერმანიის იმპერატორი დაესწრო; მითქმა-მოთქმა კრონშტადტის დღესასწაულების შესახებ გაზვიადებული გამოდგა; იმ დღესასწაულებს მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ რუსეთი და საფრანგეთი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. თუ დარდანელის საქმეში ოსმალეთმა დაუთმო რამ რუსეთსა, მხოლოდ კანონიერის უფლებით ხელმძღვანელობდა იმ დროს. პრინც ფერდინანდის დამტკიცების საქმე, სამწუხაროდ, ისევ ძველს მდგომარეობაშივეა. ჩვენს მონარქიას მიზეზი არა აქვს-რა, რომ კვლავ აღძრას მისის დამტკიცების საქმე, რადგანაც არც გამარჯვების იმედი აქვს და შეიძლება საშიშო შედეგიც მოჰყვეს ამ საქმეს. კეთილ გონიერი მოქმედება ბოლგარიის მთავრობისა სწორედ რომ მოსაწონია; მხოლოდ ის-ღა უნდა ვურჩიოთ, რომ უკეთესი ურთიერთობა იქონიოს ოსმალეთთან და საშიშო პროექტებს ერიდოს“. საზოგადო მდგომარეობა, მინისტრის აზრით, ხელს უწყობს მშვიდობიანობას. მარკიზ დი-რუდინის მიერ მინისტრის გირსის ნახვის შესახებ დი-რუდინიმ სხვა პასუხი სთქვა, რომელსაც საშიშო არა ეტყობა-რა.

### პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| რუთ-მანათიანი ოქრო . | 8 | 8, 04 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160½ | 161 | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 229 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 211 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . , . | — ,, | — ,, | 210½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ სატოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 12 ნოემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა მტკვარზე სხვა-და-სხვა ყინულის სამტვრევის ადგილის იჯარით გაცემისა. პირობის დაწვრილებით შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში ყოველ-დღე, დილის ათის საათიდამ ორ საათამდე.

(3—2)

### „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | „ | 40 კ. |
| კედლის კალენდარი 1892 წლისა . . . . . | „ | 40 კ. |
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . | 1 მ. | 20 კ. |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . | 2 მ. | 50 კ. |
| სამივე ტომი . . . | 7 მ. | |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 მ. | 20 კ. |
| იგივე ყდით . . . | 1 მ. | 40 კ. |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . | „ | 80 კ. |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1 მ. | 25 კ. |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . | „ | 15 კ. |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . | „ | 30 კ. |
| იგივე ყდით . . . . | „ | 75 კ. |
| სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . | „ | 25 კ. |
| „მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 კ. |
| „წყალობა“—მისივე . | „ | 20 კ. |
| „თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . | „ | 10 კ. |
| „დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . | „ | 15 კ. |
| „ცდა“ III წ. . . . . | „ | 50 კ. |
| საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. | „ | 30 კ. |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. | „ | 80 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . | „ | 30 კ. |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 კ. |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოკიას-მიერ . . . . . | „ | 30 კ. |
| მაჭმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 10 კ. |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 40 კ. |
| აქავე ისყიდება „სამი კომედია, აქ. ცაგარელისა | „ | 60 კ. |
| „თორნიკე ერისთავი“ აკაკისა . . . . . | 1 მ. | „ |


### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


### ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.